როგორც გამოირკვა წინა ღამით მოსკოვი გამოთხოვებოდა ბევრ „ვალიუტჩიკებს“. „შავი ბირჟა“ „გადატანილი იქნა“ ნაწილი **ლენინგრადში**, ნაწილი **ნარვიას მხარეში**, ნაწილიც **იმ ქვეყნად**. „ვალიუტჩიკებს“ თან „მიაყოლეს“ სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტები, რომელიც პარაზიტულ საქმეს ეწევოდენ და საშოვარს ეძებდენ არა ვაჭრობაში და მრეწველობაში თანხების დაბანდებით, არამედ „ციოლ“ საშოვარში. განდევნილთა შორის მოიპოვებიან ბლომათ „ჩვენებურებიც“—სპირტის „სპეციები“.

პარაზიტების განდევნით დაცალიერდა ბინების საკმაო რიცხვი. საგანგებო კომისია („ბეშეუ“) ანაწილებს გათითვისუფლებულ ბინებს მუშებს შორის. მოსკოვიდან გადასახლებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. სპეკულიანტების რიგები თხელდება.

***

„ციოლი“ შოვნა არა მარტო ვალიუტის სპეკულიაციით სწარმოებს. ცხოვრების ყოველ დარგს თავის „სპეციები“ ჰყავს. მაგალითად ბინის საკითხს თავის „სპეციები“ ჰყავს—ეგრედ წოდებული „ოთახის სპეციები“. თუმც, მოსკოვში ნებადართული აქვს საბინაო ამხანაგობებს ოთახების თავისუფალი გაქირავება 10 პროცენტის ნორმის გარდა, მაგრამ მაინც ოთახის შოვნაში მსურველი „უკომისიონერობთ“ ვერაფერს ვერ გახდება. „კომისიონერი“ კი „ციღებს“ ოთახის საფასურის 50 პროც. ბაგალითად, თუ საბინაო ამხანაგობა ოთახს აქირავებს 50 ჩერვონეცათ (ასეთი ფასები არის) კომისიონერი „ციღებს“ 25 ჩერვონეცს „გასამრჯელოთ“, რაც გამო. კლუბი მორთული იყო ხალიჩებით, სურათებით. სხდომას დაეესწრნენ შუშა-მოსამსახურენი თავიანთი ოჯახობით, ქალთა წრე, ახკომკავშირის წევრები და გლეხები. საზეიმო სხდომა გახსნა რაიპარტკომის პ. | მ. მდივანმა ამხ. სეგ. ართმელიძემ, რომელიც მიესალმა ქალებს საერთაშორისო დღესასწაულის გამო და აღნიშნა, რომ კომუნისტური მსოფლიო შეიძლება აშენებულ იქნეს პროლეტარიატის მიერ მხოლოდ ქალთა თანამშრომლობით. წითელმა ოქტომბერმა რუსეთში ფართო ასპარეზი გაუხსნა ქალებს და გაანთავისუფლა ისინი საუკუნო ჩაგვრისა და მონობისაგან. გაუმარჯოს 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღეს! გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს, რომელიც მოუწოდებს კომუნიზმისათვის საბრძოლველად! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ასრულებს ამხ. ლენინის ანდერძს!

დუშეთის მაზრის სახელით მიესალმა კრებას ამხ. შარაშენიძე მუშრანის მუშა-მოსამსახურეთა სახელით—ამხ. დუმბაძე, ახკომკავშირის სახელით კ. გოგია და ქალთა წრიდან თამარი მგალობლიშვილი.

შემდეგ ამისა წარმოდგენილ იქნა 1 მოქ. დრამატიული ეტიუდი „კომუნისტი ქალის ამხ სიმონ დუმბაძის რეჟისორობით, კარგები იყვნენ და ძალიან ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება ს. დუმბაძემ ანეტა მახარაშვილმა (ანიკოს როლში), ირინე ბაქრაძე ოქვნოვმა დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

მუშკორი—აკეური.

თეატრი და პროლეტარული კულტურა

პროლეტარული კულტურის გეზი დღეს იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მან მთელი თავისი სიძლიერით შეიჭრას თეატრში და სავსებით დაიპყრას იგი. მხოლოდ თეატრის საშუალებით შესძლებს პროლეტარული კულტურა გახდეს ეშმარიტად სრული გამომხატველი პროლეტარიატის სულიერი და გონებრივი მოთხოვნილებისა. ბურჟუაზია თავის ინტერესებისთვის ენერგიულად დაეწაფა ხელოვნების ყოველგვარ დარგებს, დაიპყრო თეატრი და მის სცენაზე თავისებურ სიმებზე ააყვერა ხელოვნება-პოეზია, რომელმაც ხორცი შეასხა ბურჟუაზიულ წარსულს: მრავალ — ბურჟუაზიული გვირგვინ ასულდგმულებდენ ბურჟუაზიულ ლიტერატურას და თეატრს და ყოველივე ეს ემსახურებოდა ერთ მიზანს: აეღორძინებინა ბურჟუაზიული კულტურა და მით დაეჩრდილა დაბეჩავებული კლასთა ყოფა-ცხოვრება, მით ეგრძნობინებინა ამ უკანასკნელთათვის სულიერ-სიღატაკე, უმეცრობა და სხვ. პროლეტარულ კულტურამ ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს; უნდა მოსპოს, აღმოფხვრას ძირეან-ფესვიანად ის ძველი, დაბავშვებული და სრულიად უსიცოცხლო სული და გემოვნება, რომელთაც აქვთ ადგილი დღეს ჩვენ თეატრებში.

პროლეტარული კულტურა უნდა შეიჭრას თეატრში რევოლიუციონური პიესების მღელვარე და მომხიბლავი პოეზიით და იმ დიდებული რევოლიუციონური წარსულთ, რომელიც საამაყოა მსოფლიო პროლეტარიატისთვის. პროლეტარიატის ისტორიაში გმირების ცხოვრება—შემოქმედება თვით ეროვნული პოეზიაა!! წითელი ლიტერატურა ისეთ თვედადებულია გმირებით, როგორიც არიან ბაქრის 26 კომუნარები და მრავალი სხვა პროლეტარიატის ბელადთა უსაზღვრო გმირობა და თავდადებულება წითელ პოეზიაში სრულიად დაჩრდილავს ბურჟუაზიულ შემოქმედებაში გმირთა ლანდებს. თავისუფლებისათვის თავდადება და უსაზღვრო გმირობა, გამარჯვება—დამარცხებანი და სხვადასხვა. აი რა უნდა გახდეს კერძოდ რევოლიუციონური პიესების საგნად, რითაც შესაძლებელი გახდება დასახული მიზნის მეშვეობა კლასის მიერ თეატრის დაპყრობის განხორციელება.

რკინიგზელი პროკოფი ჩხეიძე.

18 მარტი ფოთის სატრანსპორტო კავშირში.

(ჩვენი ფოთელი მუშკორისაგან)

18 მარტს სატრანსპორტო კავშირის მუშათა კლუბში მოხდა საერთო კრება „პარიზის კომუნის“ 53 წლის თავის აღსანიშნავათ.

კრება გახსნა კავშირის პასმდივანმა ამხ. გ. ლომთათიძემ საღამოს სრულ 8 საათზე, მოხსენება გააკეთა—ამხ. ე. ნოდიამ, პარიზის კომუნის შესახებ, მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია შემდეგი შინაარსის: „მოვიხსენიეთ რა მოხსენება ამხ. ე. ნოდიას „პარიზის კომუნარების“ გმირულად დალუპვის შესახებ, მათ მიერ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ხელში ჩაგდების დროს, ჩვენ, ქ. ფოთის სატრანსპორტო კავშირის მუშები დიდის მოწიწებით ვიგონებთ იმ მებრძოლ და რევოლიუციისათვის დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას და საქვეყნოთ ვაღიარებთ, რომ „პარიზის მებრძოლ კომუნარებმა თავიანთი უმანკო სასლლით გაკაფეს ის დიდებული გზა, რომელმაც მიგვიყვანა დიდებამდის 18 ნაწილზე მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარებამდე. დიდება მათ დიად სახელს“!

ამასთანავე ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ევროპის გააფთრებული ბურჟუაზია სასსლში აღრჩობს დღეს თავიანთ ციხეებში ათასობით და ათი ათასობით კომუნისტებს, რომელთა ოჯახები დღეს მიტოვებულნი არიან უპატრონოთ და სიმშილით საკვდილი მოელით, ჩვენ ფოთის სატრანსპორტო კავშირის მუშები სიამოვნებენი ჩავიწერენით წევრებათ იმ დიად ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდება „რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება“ და აღმოუჩინოთ მათ მატერიალური და მორალური დახმარება.

მზათა ვართ გავიღოთ სათანადო წვლილი მათ დასახმარებლად.

დიდება პარიზის კომუნარების სახელს.

გაუმარჯოს ევროპის ციხეებში დატყვევებულ კომუნისტებს!

გაუმარჯოს რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებას!

გაუმარჯოს კომუნიზმს“!

შემდეგ კრების იხურება და კლუბში იმართება წარმოდგენა ადგილობრივ კავშირის ძალებით. წარმოდგენილი იქნა პიესა „სიზმარი კოშკში“, „წითელი მხედარი“ და კავშირის გუნდის მიერ შესრულებული სხვადასხვა ხალხური სიმღერები.

წარმოდგენა დასრულდა საღამოს 10 საათზე დამსწრენი დაიშალენ სრულიად ნასიამოვნებნი.

კულტურული მუშაობა სატრანსპორტო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა შორის ძალიან მოისუსტებს დღემდის, ვინაიდან არ გვქონდა კლუბი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საკლუბო მუშაობის გატარება

მუშა ხაშა ფრუიძე.

არა დამსახურებული შეურაცხოფა.

(რკინის გზის საუბნო პროფკავშირის საყურადღებოდ).

ყველაზე ადვილია თანამშრომლის გამორიცხვა სამსახურიდან ამა თუ იმ მიზეზით და, რასაკვირველია ისე, რომ საუბნო რკინის გზის პროფკავშირმა არ გაიგოს. ა. კ. რკინის გზის ატელიერეთ. ეს ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ... ...

ᲩᲔᲠᲕᲝᲜᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ Ა.-ᲥᲐᲕᲫᲐᲡᲘᲡ ᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲐ

(27 მარტს)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით		
1	კ.— 23.000.000	56	კ.—1.288.000.000	26	კ.—598.000.000
2	კ.— 46.000.000	57	კ.—1.311.000.000	27	კ.—621.000.000
3	კ.— 69.000.000	58	კ.—1.334.000.000	28	კ.—644.000.000
4	კ.— 92.000.000	59	კ.—1.357.000.000	29	კ.—667.000.000
5	კ.—115.000.000	60	კ.—1.380.000.000	30	კ.—690.000.000
6	კ.—138.000.000	61	კ.—1.973.000.000	31	კ.—713.000.000
7	კ.—161.000.000	62	კ.—1.426.000.000	32	კ.—736.000.000
8	კ.—184.000.000	63	კ.—1.449.000.000	33	კ.—759.000.000
9	კ.—107.000.000	64	კ.—1.472.000.000	34	კ.—782.000.000
10	კ.—230.000.000	65	კ.—1.495.000.000	35	კ.—805.000.000
11	კ.—253.000.000	66	კ.—1.518.000.000	36	კ.—828.000.000
12	კ.—276.000.000	67	კ.—1.541.000.000	37	კ.—851.000.000
13	კ.—299.000.000	68	კ.—1.564.000.000	38	კ.—874.000.000
14	კ.—322.000.000	69	კ.—1.587.000.000	39	კ.—897.000.000
15	კ.—345.000.000	70	კ.—1.610.000.000	40	კ.—920.000.000
16	კ.—368.000.000	71	კ.—1.633.000.000	41	კ.—943.000.000
17	კ.—391.000.000	72	კ.—1.656.000.000	42	კ.—966.000.000
18	კ.—414.000.000	73	კ.—1.679.000.000	43	კ.—989.000.000
19	კ.—437.000.000	74	კ.—1.702.000.000	44	კ.—1.012.000.000
20	კ.—460.000.000	75	კ.—1.725.000.000	45	კ.—1.035.000.000
21	კ.—483.000.000	76	კ.—1.748.000.000	46	კ.—1.058.000.000
22	კ.—506.000.000	77	კ.—1.771.000.000	47	კ.—1.081.000.000
23	კ.—529.000.000	78	კ.—1.794.000.000	48	კ.—1.104.000.000
24	კ.—552.000.000	79	კ.—1.817.000.000	49	კ.—1.127.000.000
25	კ.—575.000.000	80	კ.—1.840.000.000	50	კ.—1.150.000.000
		81	კ.—1.863.000.000	51	კ.—1.173.000.000
		82	კ.—1.886.000.000	52	კ.—1.196.000.000
		83	კ.—1.909.000.000	53	კ.—1.219.000.000
		84	კ.—1.932.000.000	54	კ.—1.242.000.000
		85	კ.—1.955.000.000	55	კ.—1.265.000.000
		86	კ.—1.978.000.000		
		87	კ.—2.001.000.000		
		88	კ.—2.024.000.000		
		89	კ.—2.048.000.000		
		90	კ.—2.070.000.000		
		91	კ.—2.093.000.000		
		92	კ.—2.116.000.000		
		93	კ.—2.139.000.000		
		94	კ.—2.162.000.000		
		95	კ.—2.185.000.000		
		96	კ.—2.208.000.000		
		97	კ.—2.231.000.000		
		98	კ.—2.254.000.000		
		99	კ.—2.277.000.000		
		1	მ.—9.300.000.000		
		2	მ.—4.600.000.000		
		3	მ.—6.900.000.000		
		4	მ.—9.200.000.000		
		5	მ.—11.500.000.000		
		6	მ.—13.800.000.000		
		7	მ.—16.100.000.000		
		8	მ.—18.400.000.000		
		9	მ.—20.700.000.000		
		1	ჩერ.—23.000.000.000		

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ 1923 ᲬᲚᲘᲡ*)

თბილისის კომუნალურმა მეურნეობამ წარსული წლის განმავლობაში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 1922 წელი კომუნალური მეურნეობისათვის დეფიციტით დამთავრდა, 1923 წელს კი კომუნალურმა მეურნეობამ ბევრ ახალ რთულ საქმეს მოჰკიდა ხელი (ახალი ტრამვაის ხაზების გაყვანა, ჰიდროელექტრო სადგურის აშენების ხარჯები და სხვა) 1923 წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებს მით უფრო მეტი ფასი და მნიშვნელობა ეძლევა.

ქვემოდ შემდეგ ჩვენ ცალ ცალკე განვიხილავთ კომუნალური მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მიღწეულ შედეგებს, ახლა კი, წინასწარ, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 1922 წლის დამლეგს მომავალი (1923) წლისათვის დასახული ამოცანები განხორციელებულია თითქმის ყველა დარგებში 100 პროც. ზოგიერთ დარგებში კი უფრო მეტის პროცენტით.

თბილისის კომუნალური მეურნეობის მიღწევათა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მიღწევა ფინანსების დარგში.

I

ფინანსები

ქალაქის ფინანსიური განყოფილება კომუნალური მეურნეობის ძარღვია. ამ დარგის სწორად და მიზანშეწონლად მუშაობაზეა დამოკიდებული ყველა დანარჩენი დარგების, თუ შეიძლება ასე ითქვას, კეთილდღეობა და დაუბრკოლებლად მუშაობა.

ამ დარგის მუშაობის სწორ საფუძვლებზე დაყენებას თავიდანვე მიეცა ყურადღება. საფინანსო განყოფილებასთან მოიწყო საფინანსო კომისია მცოდნე და გამოცდილ პირთა მონაწილეობით; საფინანსო განყოფილების მუშაობა საგრძნობლათ იქნა გაძლიერებული, რამაც შესაფერი შედეგი გამოიღო.

ფინანსიურ დარგში მიღწეულ შედეგების უფრო თვალსაჩინოდ დასანახად მოვიყვანოთ ცნობები 1922 წლის შემოსავალ-გასავლის შესახებ.

1922 წლის **შემოსავალი** უდრიდა ბონებით (ათას მანეთებში) 348 მილიონ 697 828 მ.ნ.

გასავალი: ფაქტიურად დახარჯული ბონებით (ათას მ.ნეთებში) 321,631,592; გაუმართლებელი ავანსები (ვალი) — 47,577,000; სულ: 369,275,000.

ასე, რომ 1922 წელი თბილისის კომუნალური მეურნეობისათვის დამთავრდა დეფიციტით. ეს დეფიციტი ბონებით უდრის 20,577,172,000 მანეთს, რაც 1922 წლის დეკემბრის საშუალო კურსით 9129 მანეთს უდრის ოქროთი.

შემოსავლის მთავარ წყაროს 1922 წელს შეადგენდენ კომუნალური წარმოებები (საერთო შემოსავლის 31,1 პროც.) და კომუნალური შენობები დარაბები და სხვა (საერთო შემოსავლის 49,5 პროც.)

1923 წლისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი იყო:

შემოსავალი: 4 794 137 მ 89 კაპ.

ხარჯები: 5 390 955 მ 89 „

დეფიციტი: 596 818 მ. ბაჯაღლო ოქროთი, რაც მთავრობას უნდა დაეფაროს.

1923 წლის განმავლობაში კომუნალურ მეურნეობას ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ხარჯები (ძილიციის შენახვა) მოუმატა.

მთავრობამ კომუნალურ მეურნეობას უარი უთხრა დახმარებაზე.

რის გამო ბუჯეტი შეცვლილი იქნა ამ მოცლენთ შექმნილ მდგომარეობასთან შეფარდებით. განსაკუთრებით იქმნა შემცირებული ერთდროული ხარჯები კომუნალური წარმოებების აღსადგენათ და საამორტიზაციო.

საფინანსო განყოფილების ენერგიული მუშაობის წყალობით და 1922 წლის დამთავრეს მომავალი სამომქმედო (1923) წლისათვის დასახული ღონისძიებების ნარმატებით შესრულების გამო 1923 წელი თითქმის **უდეფიციტოთ ჩაივლიდა**, რაც საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

1923 წლის პირველი ათი თვის შემოსავალი უდრის 4.137.942 მან. 36 კაპ ბაჯაღლო ოქროთი, ამავე პერიოდის გასმავლობაში კი დაიხარჯა 4 135.988 მ. 74 კაპ. ბაჯაღლო ოქროთი.

წარსული წლის განმავლობაში შემოსავალი კომუნალური წარმოებებიდან შეადგენს საერთო შემოსავალის 39,6 პროც. დარაბებიდან კი—37,5 პროც.

1923 **წელს რეალური თვითო შემოსავალი** 1920 **წელთან** (მენშევიკური ქალაქის თვითმართველობის შემოსავალთან) **შედარებით 150 პროც. გაიზარდა**, 1922 წელთან შედარებით კი—10 პროც.-თ.

უდიდეს ნაბიჯად ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულ ღონისძიებათა შორის უნდა ჩაითვალოს თბილისის კომუნალური ბანკის გახსნა 1923 წლის დეკემბერში.

კომუნალური ბანკი მიზნად ისახავს დახმარების გაწევას როგორც თბილისს, ისე საქართველოს სხვა კომუნალური მეურნეობებისათვის. ბანკი გარდა თვით კომუნალური მეურნეობებისა დახმარებას გაუწევს აგრეთვე ყველა იმ თვითმმქმედ ორგანიზაციებს (კოოპერატიულ, ბინის საღმენებლო ანხანაგობები და სხვა), რომელთა საქმიანობა ხელს შეუწყობს ქალაქის საერთო აყვავებას, საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქალაქის გამშვენიერებას.

თბილისის კომუნალური ბანკი მეორე ასეთი ტიპის ბანკია მთელს საბჭოთა ფედერაციაში (პირველია მოსკოვის კომუნალური ბანკი)

ფაქტიურად ბანკმა მხოლოო 1924 წელს დაიწყო მოქმედება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თბილისის კომუნალური მეურნეობა, საკუთარი ბანკის დახმარებით ზურგგამაგრებული უფრო მეტს წარმატებას მიაღწევს მომდინარე წელს, ვიდრე 1923 წელში, როცა მას მემკვიდრეობათ დარჩა მნიშვნელოვანი დეფიციტი წარსული წლიდან.

II

ადმინისტრაციული მუშაობა.

1923 წელში მოხდა ქალაქისა და მაზრის აღმასკომების გაერთიანება. ამრიგად თბილისის კომუნალურ მეურნეობას დაეკისრა ზრუნვა არა მარტო ქალაქის საჭიროებებზე და კეთილმოწყობაზე, არამედ მაზრისაზეც. როგორც ქვემოთ მოყვანილ ცნობებიდან დავინახავთ, თბილისის კომუნალური მეურეობის ხელმძღვანელებმა აღმასკომების გაერთიანებათ დაკისრებული ახალი რთული ამოცანებიც წარმატებით გადასჭარეს და აპიასრულეს.

მთავარი ყურადღება 1923 წლის განმავლობაში ეჭეოდა ქალაქისა და მაზრის გამშვენიერების საქმეს.

რა გაკეთდა:

ქალაქში.

რემონტი გაუკეთდა: საბჭოთა 29 სახლს, 36 სკოლას, 4 ხიდს, საბჭოთა 11 დაწესებულებას.

მოთავსებულია: 18 ქუჩა (5500 კვადრატიული საჟენი).

განაპირა უბნებში შეკეთებულია 19 ქუჩა (8700 კვ. საჟენი)

განაპირა უბნებში გაყვანილია აგრეთვე ახალი ქუჩებიც.

გადაზიდულია ქალაქიდან: ნაგავი 4 865 ფურგანი, წვიმის ნალექი 3188 ფურგანი.

მომზადებულია ადგილები, სადაც უნდა გაშენდეს ტყეები და ბაღები.

მაზრაში

ა) მოკარწყლულია გზატკეცილები (კოდ აღმოსავლეთ და მანგლის-წალკის).

ბ) შეკეთებულია სკოლები და საავადმყოფოები.

გ) გაკეთდა ახალი საავადმყოფო მარტყოფში.

აშენებულია კლუბი.

დ) ბაღჩებში რემონტი გაუკეთდა

კოჯორში	146 სახლს
კიკეთში	14

როგორც ვხედავთ, კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელებს 1923 წლის მთავარი ლოზუნგი—სოფლისა და ქალაქის დაახლოებება—ერთი წუთითაც არ დაუვიწყებიათ და საქმით ანხორციელებდენ ამ ლოზუნგს, რაც-დენათაც ამის შესაძლებლობას იძლეოდენ კომუნალური მეურნეობის ფინანსიური საშუალებები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲒᲐ

ᲗᲐᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲭᲝᲭᲝ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲞᲘᲠᲘᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲡᲢᲘ

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში (1923 წლის ოქტომბერი, დეკემბერი) ტრესტის წარმოებათა შემადგენლობაში (ცვლილება არ მომხდარა, ე. ი. ტრესტში შედის შემდეგი შვიდი წარმოება: 3. რექონვალესცენტური ქარხანა თბილისში (№ 1,2,3), ლუდის ქარხანა, ყინულის დამამზადებელი ქარხანა და 2 სპირტის გამოსახდელი ქარხანა (გომში და ახასთუმანში). რეტროფიკაც ული ქარხნები აღნიშნულ პერიოდში აწარმოებდენ ბრანდის სპირტის და კონიაკის გადასხმას. ლუდის ქარხანა, ზამთრის სეზონის გამო, სრულებით არ მოქმედობდა: გომის და ახასთუმანის ქარხნები მუშაობდენ მხოლოდ დიკმბერში.

აღნიშნულ სამი თვის განმავლობაში ტრესტის წარმოებებში ითვლებოდა საშუალოდ: მუშა 70 და მოსამსახურე—46.

პროდუქცია: ტრესტის ნაწარმოებთა დამუშავება აღნიშნულ პერიოდში წ ნ კვარტალთან (სამ თვესთან) შედარებით საგრძნობლად გაფართოვდა, ვინაიდან დიაწყეს მუშაობა გომის და ახასთუმანის ქარხნებმა.

	კონიაკი	არაყი	სპირტი	ლუდი	ღირებულება (უპაროზოთ)
ოქტომ.	—25.25 ვედ.	138.5 ვედ.	890.1	111	8917 მან.
ნოემბ.	—100,0 „	147,5 „	575,5	6,93	8047 „
დეკემბ.	— 92.4 „	151.9 „	245.5	68	5682 „
ს ულ	217,65 ვ.	437,9 ვ.	1761 ვ.	248,3 ვ.	22.646 მ.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ

რათა ჩვენი კოოპერატივების მდგომარეობა იქნეს მთლიანად გამოკვლეული, საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში 21 თებერვალს შეიდგა საქართველოს კოოპერატივების მდგომარეობის გამომკვლევი ცენტრალური კომისია: პარტიული ცკკას, საკონტროლო კომისიის, ინსპექციის პროფკავშირის, ცენტრალურ, წარმოპოკავშირის ტ. ა. ტ. ს. ის წარმომადგენლებისაგან 7 კაცის შემადგენლობით. კომისიამ განიხილა და დამტკიცა მუშაობის, გეგმა, პროგრამა და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხები, დაუყო საქართველო 7 რაიონად, მოაწყო გამომკვლევი კომისია ათხზეთში და აპარატანში, მოახდინა სათანადო ძალების მობილიზაცია ტეხნიკურ სამუშაოსათვის: პარტიული, პროფ., საბჭ. დაწესებ. და კოოპერატიულ ორგანიზაციისა. მობილიზაციაქმნილი ამხანაგები გაეცვნენ გამოკვლევის გეგმას, პროგრამას, ინსტრუქციებს და 15 მარტს საქართველოში დაიწყო მუშაობა—გამოკვლევა, რომელიც უნდა მოთავდეს 15 მაისამდე—(2 თვე) პარტიული, საბჭოთა ორგანოების და კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ მიღებულია სათანადო ზომები, რათა კოოპერატივების გამოკვლევის კამპანია ჩატარებულ იქნეს სასურველად და თან საჩქაროდ.

ადგილობრივ კომისიას ყველა კოოპ. ორგანიზაციებმა და დაინტერესებულმა ამხანაგებმა ამ საქმეში უნდა აღმოიჩინონ დახმარება ცნობების მიცემაში, მასალების მიწოდებაში, დოკუმენტების ჩაბარებაში, ახსნა-განმარტებაში და სხ., რაც დაახასიათებს კოოპერაციის მოკმედება-ვითარებას. ადგილობრივი ხასიათის კითხვები უნდა გადაჭრან ქვეშ; ამისათვის კომისია იწვევს საჭიროებისდამიხედვით თათბირს დაინტერესებულ ორგანიზაციათან ერთად, ხოლო გამოკვლევათა პროცესში საკითხები პრინციპიალურ ხასიათისა—სამოლოოთ სწყდება გამოკვლევის დასრულების შემდეგ, ცენტრალურ კომისიაში.

კომისია იკვლევს აგრეთვე ამ რაიონებსაც და ადგილებს, სადაც არ არის კოოპერატიული ორგანიზაციები, სადაც იყო ოდესღაც, მაგრამ დღეს დღეობით არ მუშაობს ანდა ოჯახურთ არის გადაყვანილი.

გამოკვლევის პროგრამაში ყველა კითხვები ფართედ არის ნაჩვენები, რის შესრულების შემდეგ ჩვენ გვექნება სრული საშუალება ვიქონიოთ კოოპერაციაზე.

გამოკვლევის მიზანი ერთია—კოოპერაციის გაჯანსაღება, რაც ასე გვესაჭირო, განსაკუთრებით ეხლა

საბჭოთა კოოპერაციამ უნდა დაიპყროს შინაური ბაზარი, მან უნდა განდევნოს კერძო კაპიტალი, ჩრჩ და ყოველი ჯურის სპეკულიანტი. მან უნდა დაიმახოროს მშრომელთა ნდობა; ამისათვის კი თვით მშრომელებმა უნდა მოჰკიდონ ხელი თავის კოოპერაციას.

ის დეფიციები, სუსტი მხარეები, პარალელიზმი, მრავალი სიფიტურები, ზედმეტი ზედნადები ხარჯები, რომელიც თან ახლავს დღეს ჩვენს კოოპერაციას, უნდა მოისპოს, და ეს მოხდება თვით მშრომელთა შეკავშირებით, კოლექტიური მოქმედებით.

გამოკვლევამ ჰკოვა დაინტერესებულ ორგანიზაციებიდან სათანადო გამომახილი, რაც თავდებია იმისი, რომ მას შედეგიც კარგი მოჰყვება.

ამ გამოკვლევამ საერკისათვის უნდა დაგვანახოს დღევანდელი სურათი საქართველოს კოოპერაციისა, რომ გორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები. შემდეგში უნდა ვეცადოთ პირველის მოსპობას და მეორის განმტკიცებას.

კოოპერაციამ უნდა გაამართოს მათზე დაკისრებული მოვალეობა, რომელსაც ჩვენ უწოდებთ „სმიჩას“

ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲐ

ᲥᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲤᲕᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

24 მარტს მოხდა ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბის სახეიმო გახსნა („ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის“) ახალ ბინაზე ყოფილი „პროლეტკულტის არენა“,—რუსთაველის პროსპექტი.

კლუბის როგორც დარბაზი, ისე ფოიე გაიჭედა თბილისში მყოფ ქართულ დივიზიის ნაწილებით და მუშამოსამსახურეებით. კლუბი მორთული ა ფიფილი დროშებით და ჩვენი ბელადების სურათებით. უკრავს პირველ ლეგიონის მუსიკა ამხ. დონენკოს მეთაურობით.

სახეიმო სალამოს ხსნის ამხ. გ. ნადირაძე და სიტყვა ეძლეოდა ამხ. ალ. მამულაშვილს, რომელიც ესალმება რა სახეიმო სალამოს—მოკლეთ და წვთელ არმიელთათვის ბაგეგი ენით იქლევა აღწერას საკლუბო მუშაობისას, რომელიც სწარმოებს ქართულ ჯარში, რომელშიც პირველი ადგილი ეჭირა ცენტრალურ კლუბს და მან მომავალშიც ნაყოფიერად უნდა განაგრძოს თავისი მუშაობა. ამას ტაში, ოვაციები, ინტერნაციონალი.

ქ მს. დივ. პოლიტ-განყოფილებას სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. შ. თალაკვ ძე, ა. ი. სუმბათაშვილი იუბინს სახელობის დრამატუდიის სახელით. კლუბს ესალმება ამხ ედიგაროვი და პირდება დახმარებას.

შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოდის ამხ. ილიასაბიდაშვილი, რომელიც აშუქებს კომუნისტური ნათლობის მნიშვნელობას.

კლუბის სამეურნეო წევრებად არჩეულ იქნენ ამხ ამხ. ტროიკი, ს. ორჯონიკიძე, ეგოროვი, თ. ელენტი, ლეკვეთაძე, ართმელაძე, ბ. კვირიკაძე, მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი, ლ. სუხიშვილი და რ. კალაძე.

ამავე სალამოს მოხდა ბაგშვის კომუნისტურად მონათვლა: 1. ალ. მამულაშვილისა (ოდერობითი სქესის) ნათლიები: ბერაძე და კობიძე დაერქვა ეფერი. 2. გ. კობიძისა (მამრობითი სქესის) ნათლია: ქართული დივიზია—რწმუნებული: ელენტი და ლეკვეთაძე, დაერქვა მარლენ. (შემოკლებით: მარქსი და ლენინი), 3. ვალ. მამულაშვილისა (მდედრობითი სქესის) ნათლიები: ართმელაძე და სიკინავა, დაერქვა ნათელა, 4. გ. გიძიაშვილისა (მამრობითი სქესის) ნათლიები: ალ. მამულაშვილი და შ თალაკვაძე, დაერქვა რევოს (შემოკლებით: რევოლიუციის).

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა და კონცერტი, რითაც დამსწრე წითელ არმიელები და მუშა მასამსახურეები დადათ კმაყოფილი დარჩენ.

ᲑᲔᲓᲣᲜᲘ.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐ

ვინ არ იცის, თუ როგორ იყო სამხედრო ბეგრის მოხდა ახალგაზრდობისათვის ძველი მონარქიულ რეჟიმის დროს. ახალგაზრდამ, რომელიც უსაზღვრდება 21 წლის ჭასაკს, იცოდა, თუ რას წარმოადგენდა მაშინ სამხედრო სამსახური. მან იცოდა, რომ ის მოშორდებოდა თავის ოჯახს, მოხვეს დედამამას, ცოლს, შვილს არა ერთი და ორი წლით, არამედ სამი, ხუთი და ხანდისხან ექვსი წლითაც. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ის აუტანელი ტანჯვა და გაჭირვება, რომელიც თავზე დაატყდებოდა. მას არა ნაკლებ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ის რუსული ენის უცოდინარობისა გამო არა ერთხელ და ორხელ იქნებოდა რამოდენიმე როზგით გამეტებულ-აუწერელია ყოველივე იმ ტანჯვის და გაჭირვების ენით გამოთქმა, რომელიც თავზე დაატყდებოდა ახალგაზრდას 3—5 წლის განმავლობაში. ყოველი ახალგაზრდა სცდილობდა სამხედრო სამსახურიდან თავი დაეწყვა: ის ხშირად დეზერტირად და ყაჩაღად გავარდებოდა ტყეში, ან ქრთაზს აძლევდა, ისედაც გაძვალტყავებული ღარი, ოღონდ კი თავისი შვილი ცოცხლად არ დამარხა,—ყველას—სოფლის მამასახლისიდან დაწყებული ქალაქის სამხედრო „ნაჩალნიკამდე“. თუ ეს არ გაუვიდოდათ, თავს ძალით ავად გიხდენდენ და სხვა.

დადგა მერწმეოვანების დრო, „თავადსუფალი საქართველო“. ვნახოთ რა განსხვავება იყო სამხედრო ბეგარის მოხდაში. თუ ნიკოლოზის დრო იყო სამი წელიწადი, მერწმეოვანების დროსაც იყო სამი წელიწადი. თუ ნიკოლოზის დროს ჯარის კაცი წერა-კითხვის უცოდინარი ბრუნდებოდა, ასევე ხდებოდა მერწმეოვანების დროსაც. თუ ნიკოლოზის დროს ჯარის-კაცებს უსისნენდენ სხვა ქვეყნის მეფეს ბელგიელი ბერის წინააღმდეგ ბრძოლა. ჯანმრთელობის კომისარიატის სამეცნიერო-სასანიტარო განყოფილებამ ხაშურის ვეტერინარულ მაუწყლის გახსნა სამხედროს ჭერის წინააღმდეგ მებრძოლი სადგური.

— **მაწის და საკეთო კოდექსის ფილმი.** სრ. საქ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო ს. ს. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მეორე სესიის მიერ გამომუშავებული მაწის და საკეთო კოდექსი.

— **ინვალიდთა დაზმარე კომიტეტის დაარსება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა ინვალიდთა დაზმარე კომიტეტის შესაქმნელათ დაარსა განსაკუთრებული კომისია: ამხ. ამხ. სამბაშვილის, კ. ოკუჯავას და ვ ციწკაძის შემადგენლობით.

— **შინაგან საქ. კომისარიატის შემადგენლობა.** სრ. საქ ცენტრ. აღმ. კომიტეტმა დაკმაყოფილა შინაგან საქმეთა კომისარიატის შუამდგომლობა პლატონ ივანეს ძე მაკაბერიძის მოქალაქეობრივ უფლებით აღდგენის შესახებ.

— **„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა ყოფილი ომიანობის გამო სამხედროს ბრძოლის ველზე სამოსწავლო ათასეულის პოლიტიკელმძღვანელი ბიტკოო ყარამანის ძე კაპარავა დაუწეთის მაზრაში ბანდიტებთან თავდადებულ ბრძოლის გამო, დაჯილდოვა „წითელი დროშის“ ორდენით

— **საქ. ცაკის მეორე სესიის ანგარიშების გამოცემა** სრ. საქ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გადაწყვიტა გამოსცეს საქ ცაკის მეორე სესიის სტენოგრაფიული ანგარიშები.

— **ჭლეტკომები თელავის მაზრაში,** ამ უამად თელავის მაზრაში არიან 61 საგლეხო კომიტეტი, ამათ შორის 1 სამაზროო, 9 რაიონული და 51 სასოფლო. ჭლეტკომებს აქვთ საკუთარი ფონდები და სხვადასხვა კულტდაწესებულებები.

— **მიწები ჭლეტკომებს.** ქ. აღმასკომის მიწად მოქმედების განყოფილებამ ტფ. მაზრის საგლეხო კომიტეტისათვის დასამუშავებლად გადასცა 10 დესეტინა მიწა სართიჟალის რაიონში.

— **ჰაეროდრომი ჭიათურაში.** შორაპნის მაზრის აღმასკომმა დაადგინა ა | კ. საავიაციო საზოგადოების მმართვის თანხმად, ჭიათურისათვის ჰაეროდრომი ააგოს სოფ. პერევისაში.

— **ცენტრ. ხაბინათ ხაელმწიფო კოოპერატივი.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ბინების აშენების საქმეში ჩაბმულ იქნას სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები. ამ მიზნით დაევალა კომუნალურ განყოფილებას შეიმუშაოს სახლების საღმშენებლო ამხანაგობათა მტკიცე დებულება.

— **ქ. აღმასკომის შეკრების ოუბლიდ.** ქ. აღმასკომის ადგილკომმა გადაწყვიტა ჯანმრთელობის შეკრიკს ამხ. ოგანეზოვს 32 წლის მუშაობის აღსანიშნავად გაუმართოს იუბილე.

— **ხატელეგრაფო ხაზების დაფეტლიერება.** ა.—კ ფ. ტ. კომისარიატმა დაავალა ცალკე რესპუბლიკის ფ. ტ. კომისარიატებს გაზაფხულზე დაათვალიერონ სატელეგრაფო ხაზები მათი დეფექტების გამოსასწორებლად და არსებულ ხაზების აღსარიცხავად.

— **მეტრიული სისტემა.** მეტრიული ზომის სისტემა ა. | კ. რკინის გზებზე შემოღებული იქნება 1925 წლის პირველ იანვრიდან.

— **ა. | კ. რკინიგზების გაერთიანება.** ა. | კ. რკინიგზებზე გაერთიანების ჩამტარებელმა კომისიამ გადასწყვიტა პირდაპირ მიმართულების სამგზავრო საბუთები იწერებოდეს რუსულსა და სახელმწიფო ენაზე, ხოლო ადგილობრივი ცნობები მხოლოდ რეპუბლიკების ენაზე.

— **ა. | კ. რკინიგზის პროფკავშირის ჰეროიპლანის** ასაგებად რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებმა დღემდე გაიღეს 20,000 მან. ჩერ. ჰაეროპლანის აგება ჯდება 40 000 ჩერვ მ. თანხის დანაკლისი უნდა შეავსონ ა. | კ რკ. გზების სამმართველომ, ბუღალტერმა და რკ. გზის დამზღვევ კასამ.

— **ცისტერნების გაგაცება.** 8 მარტს სადგურ ალეთიდან ქარაშხალმა გაიტაცა 14 ცისტერნი. ორი ცისტერნი ლინდგან გადასულიდა.

— **ლენინის სახელობის ბაღი.** ლენინის ხსოვნის ბაღში (ბულვარში) ეკალიანის პირდაპირ) უკვე დაიწყეს ხეების დარგა. ბაღი მოწყობილი იქნება მაისამდე.

— **უმუშევართა სასადილო.** შრ. ბირეთს კომიტეტმა უმუშევართა სასადილოს საჭიროებისათვის გადასწყვიტა გამოითხოვოს ქ. აღმასკომიდან 1771 მან. და 93 კაპ. ჩერ. (აღნიშნული თანხის 25 პროც. გამოთხოვილი იქნება სოც დაზღ. სამართველოდან).

— **ცემენტის საწყობი.** შორაპნის მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა აღკრას შუამდგომლობა ცემენტის ტრესტის წინაშე, რათა მან ქიათურაში გახსნას ცემენტის საწყობი.

— **ლოგოს და რულეტკის აღკრძალვა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება, რათა ყველა კლუბებში და რაზნოებში აღკრძალულ იქნას ლოტოს და რულეტკას თამაში.

— **პენსიონერთა გაწმენდა.** დამზღვევ კასამ დაარსა კომისია, რომელიც მოახდენს პენსიონერთა ქონების გამოკვლევას და ამის შემდეგ პენსიონერთა გაწმენდას.

— **ხამკითხველთათვის.** პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ სკოლის გარეშე განათლების მომუშავეთა სახლის სამკითხველოსთვის ქართულ წიგნების შესაძენათ გადასდო 150 ჩერ. მან.

— **შარმის ბარგი.** 24 მარტს შრ. ბირეთში აღრიცხვაზე გამოცხადდა 323 უმუშ., ახლად ჩაიწერა—119, მოთხოვნილება იყო—46, სამუშაოზე გაიგზავნა.—32.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲔᲕᲔᲑᲘ:

— **ქალის ბვამის პოვნა.** 23 მარტს თბილისის მახლობლად ღრმაღელეში აღმოაჩინეს მოკვლილ ქალის ბვამი, უნდა იყოს რუსი, დაახლოებით 28 წლის.

— **ქურდობა.** 22 მარტს (ალექსეევის ქ. № 12), გაქურდეს მოქ. მ. ღოლობერიძის ბინა, სადაც ნაიღეს 138 მან. ჩერ.

— **ხეხვი მანქანის მოპარვა.** 23 მარტს (ეტიბერიანის ქ. № 50), გაქურდეს მოქ. კირაკოზოვის ბინა. წაღებულია საქმოვი მანქანა.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

— **ხელნაწერთა მოწყობა ცეკლის მქობელთათვის.** 1-ლ ცეკლის მქრობელ რაზმისათვის სკენის მოსაწყობათ ქ. აღმასკომმა გადასდო 100 მან. ჩერ.

— **კინოვაგონი.** ა.—კ. რკინის გზის პროფკავშირმა მოაწყო კინოვაგონი, რომლითაც განსაკუთრებით მეგარდნილ ადგილებში მუშა-მოსამსახურეებს აჩვენებენ კინო-სურათებს.

— **ალ. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები.** სახ. გამომც შეიდგა ალ. ჭავჭავაძის რჩეულ ლექსების წიგნის გამოცემას, წიგნს დართული იქნება ავტორის სურათი და კრიტიკული წერილი.

— **ჯამაგირების მომატება ქართულ თეატრის თანამშრომელთ.** მთავარ სახელოვნო კომიტეტმა დადგინა ქართულ დრამის თანამშრომლებს მოეატოს 30 პროცენტი არსებულ ჯამაგირ

დაბა აბაშა (სენაკის მაზრა)

დაბა აბაშა წარმოადგენს კულტურულ ცენტრს აბაშის რაიონის გლეხებისათვის. ჯერ კიდევ მენშევიკების დროს აქ დაარსებული იყო 8 კლასიანი გიმნაზია, რომელიც ახლა გადაკეთებულია ტეხნიკუმად. იყო აგრედვე თეატრი (კლუბი) და ხეტყის ორი ქარხანა. აბაშის რაჩონში შედის 12 უზარმაზარი თემი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან კარგი გზებით და ხიდეებით.

გასაბჭოების შემდეგ აბაშის რაიონში და შიგ დაბა აბაშაში ბევრი რამ არის გაკეთებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტეხნიკუმის და თეატრის შენობების აგება. თუმცა ეს დაწესებულებები წინედაც არსებობდნენ, მაგრამ შესაფერი შენობა არ მოეპოვებოდათ. ამ საქმის მოთავეება ვერ მოხერხდა ზამთრის თვეებში, ახლა კი მარტის თვიდან სამაზრო აღმასკომიდან გამოგზავნილია ტეხნიკოსი ლომია, რათა უხელძღვანელოს აბაშის ტეხნიკუმის აგებას. მუშაობას აქვს დაკვეული ხასიათი. საამისო თანხა გადადებულია და აბაშის რაიონის მშრომელი გლეხობა იმედს გამოთქვამს, რომ სამაზრო აღმასკომის მეთაურობით წამოწყებული აბაშის ტეხნიკუმის შენობის აგება ღირებულად დასრულდება.

თეატრის საქმეც კარგათაა მოწყობილი, აქაც მუშაობა დამკვიდრებულ ხასიათს ღებულობს აბაშის რაიონმასკომის მეთაურობით, მაგრამ შესაფერი თანხა არ მოიპოვება. გადადგმულია ნაბიჯი ადგილობრივ მუშაობა ინტელიგენციის დახმარებით თანხის შესაძენად, გროვდება შემოწირულებები მოქალაქეებისაგან და სხვა. საჭიროა ყველამ, ვინც კი სცხოვრობს სხვადასხვა ქალაქებში აბაშის რაიონიდან, ვისაც აინტერესებს მშრომელი გლეხობის კულტურულად წინ წაწევა, გამოიღოს ცოტა წვლილი და ამით შესძლოს ადგილობრივი ხელისუფლებამ მიზნის მიღწევა ამ დიდად კულტურულ საქმეში.

დაბა აბაშის ახლო არის ერთი მიდამო „შუა ქალაქად“ წოდებული. აბაშის „რაიეპოს“ აქ მოწყობილი აქვს კრამიტის ქარხანა. მიწა საკეთესო გამოდგა კრამიტისათვის. აქედან მაგალითი გადმოიტანეს გლეხებმა და ეხლა კრამიტის 7—8 ქარხანა მოიპოვება. ამზადებენ „ბოსლევის“ ფორმის კრამიტს.

ეხლა ცოტა რამ დაბა აბაშის საბჭოთა ხეტყის ქარხნის შესახებ. ამ ზამთარში სამტრედიის რკინიგზის უწყების წარმომადგენელნი ჩამოვიდნენ ხსენებულ ქარხანაში და, რადგანაც ქარხანა მდებარეობდა რკ. გზის ახლო, გაუკეთეს რევიზია. ქარხანა შესაკეთებელი აღმოჩნდა და ამის მიზნით მუშაობა შეაწყვეტინეს. ადგილობრივი მშრომელი გლეხობა დიდად სარგებლობდა ამ ქარხნით და მის დახურვის შემდეგ ხალხი შეწუხებულია. მუშები დათხოვნილია და სხვ. საჭიროა მიექცეს ამას სათანადო ყურადღება. ქარხნის დახურვა ადვილი საქმე იყო, მაგრამ მის შეკეთება კი უფრო ძნელია, მაგრამ ამ პატარა ქარხნის შეკეთება რომელიმე უწყებისთვის სულ ადვილია. როგორც ამბობენ, საჭიროა მხოლოდ გახსენება (მგონი მივიწყებულია) და საქმით დაინტერესება.

ვასკ.

აღმოსავლეთის მუშაობა ლიის რაიონში (ზუგდიდის მაზრა)

ლიის რაიონი შესდგება შემდეგი 7 თემისაგან: ლიის, ფიხულანის, ჭალის ჯვარის, საფაქიო ეწერის, ჭკადუაშის და ტყაია-ბეუასლელის. აღმოსავლეთით ამ რაიონს საზღვრავს წალენჯიხის რაიონი, დასავლეთით აფხაზეთი, ჩრდილოეთით სვანეთი და სამხრეთით ზუგდიდის რაიონი, რაიონის ცენტრი მოთავსებულია სოფ. ლიაში, სადაც არის რაიდაწყებულებები. აქ წარმოებს ფართე აღმშენებლობითი და კულტურული მუშაობა. ერთი ეკლესია, რომელიც არსებობდა რაიონის ცენტრში, ე. ი. ლიაში, გადაკეთებულ იქნა რაიონული კლუბად. აშენებული იქნა ს. ლიაში მთლიანი სკოლისათვის ორ სართულიანი ხის შენობა 10 ოთახით და ეხლა მოწადეებს შეუძლიათ მოთავსდენ აღნიშნულ შენობაში, ქვეითთა სართულში.

რაიდაწყებულებები განიცდიდნენ უკიდურესი მდგომარეობას სათანადო შენობის უქონლობით, რის გამო იქნა მიღებული სათანადო ზომები, რაიონის ყველა თემებიდან, თანახმად საზოგადო კრებების დადგენილებისა, მიიცა რაიღმასკომს 6 დაკიტლი ეკლესიები შემდეგი თემებიდან: ლიიდან 2 ეკლესია, ჭალიდან 1, ჯვარიდან 2, საფაქიო ეწერიდან 1, ჭკადუაშიდან 1, რომლებიდან ორი ეკლესია დანგრეული და მოტანილია ლიაში, ხოლო დანარჩენი ამ მოკლე ხნის განმავლობაში იქნება დანგრეული და მიტანილი ცენტრში, რის შემდეგ გაკეთდება ყველა რაიდაწყებულებისათვის დიდი ხის შენობა არა ნაკლებ 12 ოთახისა და ამ შენობაში უნდა მოთავსდეს ყველა რაიდაწყებულებები.

ფიხულანის თემის საზოგადო კრებამ დაადგინა, რათა ყოფილი ეკლესია მიემატოს სკოლის შენობას, რისთვისაც არჩეულია საალმშენებლო კომისია. ასე მოიქცა ჭალის საზოგადოებაც. ჯვარის თემშიაც—ერთი ეკლესია დაშალეს და მიუმატებენ—მთლიანი სკოლის შენობას, და მეორეც—მასვე უნდა მიემატოს. საფაქიო ეწერის თემის საზოგადო კრების დადგენილებით, ერთი ეკლესია დანგრეულია და აკეთებენ სკოლის შენობას, მეორე კი დათმობილია რაიდაწყებულებისათვის ჭკადუაშის თემში—ერთი ეკლესია დანგრეულია და მოხმარდება თემის საჭიროებას. საზოგადოებამ რელიგიური ცრურწმუნეობის მოსასპობად გადასდგა დიდი ნაბიჯი, და მოახდინა ეკლესიების სრული ლიკვიდაცია. ამ მუშაობაში დიდი დავალება მიუძღვის ლიის რაიკომს და რაიღმასკომს, აგრეთვე სათემო საბჭოების თავმჯდომარეებსაც. საჭიროა ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს ლიის რაიდმასკომს რაიდაწყებულების შენობის ასაგებად.

ენგურხიპარელი.

ზესტაფონის რაიონელმკომის მუშაობა

რაიგელხკომი მუშაობას შეუდგა ა. | წ. 15 თებერვლიდან. პრეზიდიუმში შედის სამი კაცი. გლეხკომის დაარსებას გლეხობა შეხვდა აღტაცებით და შეგნებულად. წევრების რიცხვი უდრის 4175 კომლს. ძირითადი ფონდი არის 3558 მანეთი და 40 კაპ., გლეხობის თვითდაბეგვრა იყო შემდეგი წესით: 1 კატეგორიის ორი მანეთი, 2,—მანეთნახევარი, 3—ერთი მანეთი და 4—კი ათი შაური. აკრეფილი ფული დღიურათ გადატანილ იქნა ჩერჩენკებზე. საწევრო გადასახადი აკრიფება ადგილობრივად თემების საბჭოებში რაიგელხკომის რწმუნებულების მიერ და შემდეგ იგზავნება რაიონებში. ზესტაფონის რაიგელხკომის ფარგლებში დახმარება გაწეულია შემდეგი წესით: ა) ქვრივ ობლებს სამოცი (60) მანეთი ფართლეულობით, ბ) ღარიბ გლეხობას ფულით დახმარება—35-მანეთი ფულით და 5-მანეთი ხორბლით, გ)—ინვალიდებს 35-მანეთი ფულთ, დ) ავადყოფებს წამლით და საექიმო დახმარება 300-მანეთი, აგრეთვე მიეცათ უკიდურეს ღარიბებს ამერიკელი ძველი ტანისამოსი 20-მანეთის, გლეხთა დაწესებულებებისათვის გაწეულია შემდეგნაირი დახმარება: სოფლის სკოლების ინვენტარის შესაძენათ მიეცემულია 65-მანეთი და გლეხთა კლუბის მოსაწყობად კი 300—მანეთი

თემგლეხკომების და რაიგლეხკომების მიერ ორი კვირის განმავლობაში სხვადასხვა სახით გაეცემული დახმარების მთელი ჯამი უდრის—925 მანეთს.

ზესტაფონის რაიგლეხკომს გაბარებული აქვს შემდეგი საფაროები: 1) მანუფაქტურის საწყობი № 1, 2) მარილის, ნავთის და წვრილპანის—№ 2, 3) ბამბეულის-ლერწვის სახელოსნო, № 3 4)—სასადილო № 4 და აგრედვე ქალაქ ზესტაფონში იხსნება გლეხთა საწილი, რის შეკეთება უკვე სწარმოებს და ახლო მომავალში შეუდგება მოქმედებას. საჭიროთ მიგვაჩნიათ აღვნიშნოთ, რომ ყველა საფაროებში მუშა-მოსამსახურეებიათ ირიცხებიან თითქმის ყველა ომის და შრომის ინვალიდები.

ზესტაფონის რაიგლეხკომის პრეზიდიუმი.

დღეხუთის ცენტისწყლის ბაზარი

ლეჩხუმის ცხენისწყლის მხარე მრავალმხრივად ჩამოუვარდება იმავე ლეჩხუმის რაიონის მხარეს. უკანასკნელი სჯობნის ცხენისწყლის მხარეს არა ნიადაგის სიკარგითა და ბუნებრივი სიმდიდრით, პირიქით, ამ მხრივ ცხენისწყლის მხარე კიდეც სჯობნის რაიონის მხარეს. მაგ. ამ მხარის სოფ ოყურეშის, ოფიტარას, ისუნდრიისა და ზუბის ღვინო განირჩევა განსაკუთრებული თვისებით. ამ ჯიშის ღვინო სრულიად არ ხარობს არამც თუ. ლეჩხუმის გარეშე, დასახელებული სოფლების გარდა ლეჩხუმის სხვა სოფლებშიც კი. სხვა მოსავალიც, როგორიცაა სიმინდი, ჰური ლობიო და სხვ., ამ მხარეში მეტი იცის, ვიდრე დასახელებული მაზრის რიონის მხარეზე. ასე რომ ამ ხმარეს ბუნებრივი სიმდიდრე ხელს უწყობს, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მგონია საქართველოში იყოს მეორე ხმარე, რომლის მცხოვრებლებიც ისეთ გაჭირვებაში და აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ, რანაირშიაც ეს ცხენისწყლის მხარის მცხოვრებლებია: მრავალმხრივია ხალხის გაჭირვება და უფრო ნიფთიერის ხმრით. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რითაც ასე ვსთქვათ, რიონის მხარე უზრუნველყოფილია. ეს არის გზა. ლეჩხუმის ცხენისწყლის მხარე სრულიად უგზო ქვეყანაა და მოწყვეტილი ყველა ქალაქებს. ეს მხარე უფრო უკავშირდება ხონის ბაზარს და იქ მიაქვთ გასაყიდელად მცხოვრებლებს თავისი დოვლათი: ჰური, ღვინო, ლობიო და ვაშლი. ჯერ ერთი, მარტო ამ პატარა ბაზრათან საქმის დაჭერა ვერასფერი სახეირია მხარესათვის, ვინაიდან მცირე ბაზარი მცირე ღირებულებას აძლევს თავიანთ ნაშრომში სოფლის მცხოვრებთ. მეორეთ არც ამ ხონთან ეწყობა დაუბრკოლებელი და მოხერხებული დამოკიდებულება დასახელებულ მხარეს. ეს იმიტომ, რომ გზა არ ვარგა, გზა ხონამდე მისდევს მდინარე ცხენისწყალს ნაპირ-ნაპირ. მაგრამ ის ისე ვიწროდ და ყოველ ნაბიჯზე ისე გაფუჭებულია, რომ გლეხი, როდესაც აჰკიდებს თავის მოწეულ ჰურს ან ლობიოს ცხენს ხონის ბაზარზე წასაღებად, გზადაგზა ხშირად ნატრობს: „რატომ ზურგზე არ ავიკიდე და ისე არ წამოვიღე“. ო. დიახ, ათას ადგილზე მოელის ცხენს მარცხი და გზიდან მდინარეში გადავარდნა. თავიდანვე ეს მხარე ასე უგზოთ და დიდი ხანია ამის მიზეზით დაუსრულებლად იტანჯებიან ლეჩხუმელები. ამ გზის გაკეთება ისე რომ ურემმა გაიაროს, დიდ მუშაობას მოითხოვს. ადგილობრივი მკვიდრნი მის გაკეთებას დაუხმარებლად ვერ შესძლებენ. აქ საჭიროა მთავრობის ხელი, მისი დახმარება. ამ მხარის ასეთ უბედობას ისიც უწყობს ხელს, რომ ცენტრიდან ჰასუხისმგებელ ამხანაგებს, რომელნიც ზშირად მოგზაურობენ სოფლებში და მაზრებში, ამ გზაზე გავლა არ უხდებათ, თორემ ამდენ ხან გამოჩნდებოდა ვ ნმე მადლიანი და მიაქცევდა ყურადღებას. ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, მართალია, აქცევს ყურადღებას გზების შეკეთებას, მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო სამართლიანი იქნებოდა პირველყოვლისა ამ ცხენისწყლის გზასათვის დაეხარჯა ყოველივე ის დახმარება მთავრობისა და ხალხის, რომელიც მოახმარეს ნიკორიძისეული ცაგერისაკენ გაპლანულ გზა. ცხენისწყლის ხმარეზე, დაწყებული სვანეთიდან გათავებული ლეჩხუმით, ძალიან მდიდარი ტყეები არის. ამ ტყეებით ხე-ტყის მასალისათვის ძალიან კარგად სარგებლობს სატყეო ტრესტი, მაგრამ ჯერ ჯერობით არავის მოფიქრებია იმ მხარეში დაქცეულ გზებისა და ხიდებისათვის ხარჯი გაეწია.

აქ გზის გაყვანა ადვილი საქმე არ არის და დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ მთავრობა, იმედია, აღმოუჩენს შესაფერ დახმარებას ამ მხრით ცხენისწყლის მხარის ლეჩხუმელებს, რომელთა მდგომარეობა ამ ნიადაგზე უნუგეშოა.

ჩხმელი.

ბიბლიოგრაფია

ალ. ჩოლოყაშვილი

როგორ აღვადგინოთ კახეთში ვენახები

მიწად-მოქმედების კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის განყოფილების გამოცემა.

გლეხობასთან კავშირის განმტკიცების და ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების მიზნით სხვათაშორის დიდი ენნიშვნელობა აქვს სათანადოთ შერჩეულ აგრონომიულ ლიტერატურას, რომელიც გლეხობას მისცემს რჩევა დარიგებას, უჩვენებს ახალ გზებს მეურნეობის ამა თუ იმ დარგის გაუმჯობესებისთვის. ამ შემთხვევაში მეტი ენნიშვნელობა აქვს ორიგინალურ ლიტერატურას, რომელიც ადგილობრივ ნიადაგს, ჰავას და სხვა პირობებს ანგარიშს უწევს და პასუხს აძლევს მეურნეს იმ კითხვებზე, რომელნიც მის პრაქტიკულ ცხოვრებაში წამოჭრილან, მის საჭირბოროტო კითხვებათ ითვლებიან.

საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის სასოფლო მეურნეობის განყოფილებამ დაიწყო ასეთი წიგნაკების გამოცემა, საერთო სახელწოდებით „სოფლის სამკითხველო“. ჩვენს წინ ძვს წიგნი № 2, რომელიც ეკუთვნის ჩვენი მეცნიერობა-მეცნიერების ერთ საუკეთესო სპეციალისტს ს. ჩოლოყაშვილს. კახეთში ვენახების აღდგენა ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია ჩვენ სასოფლო მეურნეობაში; ხსენებული წიგნიც სწორედ ამ საკითხს ეხება და მიუთითებს იმ ერთად-ერთ საშუალებაზე, რომლითაც შესაძლებელია ფილოქსერისაგან, მევენახეობის ამ საშინელ მტრისაგან თავდაცვა. ეს საშუალება არის ამერიკულ ვაზზედ ჩვენებური ვაზის ჯიშების მყნობა. ყველა ამერიკული ჯიშები სავარგისი არ არის ჩვენი ქვეყნის და კერძოდ კახეთის ნიადაგისთვის, ავტორიც ამბობს: „დიდი სიფრთხილე გვმართებს, ამერიკული ვაზის საძირეს შერჩევაში სათანადო ნიადაგისთვის გამოსაყენებელი ჯიში უნდა ვიხმაროთ, სადღეისოდ კი არ არსებობს არც ერთი ჯიში ამერიკული ვაზისა, რომელიც ყველა ნიადაგისთვის გამოსაყენებელი იყოს“. შემდეგ ავტორი დაწვრილებით ჩერდება ნიადაგის მიხედვით იმ ჯიშების შერჩევაზე, თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება ნამყინი ვაზის შეძენის დროს, და აგრედვე მისი გაშენების დროს და სხვ.

წიგნი შეიცავს სულ 16 გვერდს და შიგ მეურნისთვის მრავალი სასარგებლო ცნობებია. წიგნს თან დართული აქვს 8 სურათი. მეტად სასარგებლო და საჭიროა ასეთი ხასიათის წიგნების გამოშვება მეურნეობის სხვა დარგების და კითხვების შესახებ.

ფ. ბ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულარი № 23.

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს, შრომის განყოფილებებს, შრომის ინსპექციებს, რწმუნებულებს და ყველა პროფკავშირთა საჭიროების და სახაზრო პროფკავშირთა მიმართ.

ვეგზავნებთ რა ამასთან ერთად ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის და ა—კ. ბიუროს განმარტება 1924 წ. მარტის 17-დან ა. წ. მარტის პირველი და მეორე ნახევრის შრომის ხელფასის გადახდის და კოლექტიურ ხელშეკრულებების რეგისტრაციის წესის შესახებ საკ. შრომის სახალხო კომისარიატი და საკ პროფკავშირთა საბჭო გაცნობებთ, რომ ა—კ. ს. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყველა დადგენილებები სისწორით და დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ცხოვრებაში გატარებულნი („ზარია ვოსტოკა“ № 527—15 მარტი).

1. ა—კ. შრომის სახ. კომისარიატის განმარტების თანახმად, შრომის ხელფასი იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ის კოლექტიურკოლებებით და სატარიფო შეთანხმებებით საკ. მანეთებში იყო გამოანგარიშებული ა. წ პირველ მარტიდან გადატანილი უნდა იქნეს ჩერგ. გამოანგარიშებაზე გამოქვეყნებულ სატარიფო ზოლების და მტკიცე პარიტეტის მიხედვით და უნდა დასრულდეს ა. წ. 31 მარტამდის. ეს ნიშნავს, იმას რომ მარტის ბოლოში თქვენ არ უნდა გქონდეთ არც ერთი ისეთი კოლექტიურკოლება, ან სატარიფო შეთანხმება, რომელშიაც შრომის ხელფასი საკონლის მანეთებში იქნება გამოსატული. მეორე მხრივ შრომის ხელფასის გადატანა უნდა მოხდეს მთავრობის მიერ დაწესებულ ზოლების და პარიტეტის მიხედვით, ე. ი. მეორე ზოლისთვის (ტფილისი, ბათომი და ბიათურა) შემდეგი პარიტეტით—1 საკონლის მანეთი უდრის 1 მან. და 30 კაპ. ჩერგონ. (1 : 1, 3) მესამე ზოლისთვის, ე. ი. საქართველოს მთელ დანარჩენ ტერიტორიისთვის—ერთი საკ. მანეთი უდრის—1 ჩერ. მანეთს(3 : 1).

მაგალითი მეორე ზოლისთვის.

თუ ხელშეკრულებაში პირველი ნახევრის განაკვეთი ორ საკონლის მანეთს უდრიდა,—ჩერგონულ გამოანგარიშების დროს უნდა უდრიდეს 8 ჩერგ. მანეთს.

2. მარტის პირველ ნახევრის შრომის ხელფასის გადახდა იმ მუშაკთათვის, რომელნიც გადაყვანილნი არიან ნერგ. ანგარიშის მტკიცე პარიტეტზე (ე. ი. 1 : 1, 3 მეორე ზოლისთვის და 1 : 1 მესამე ზოლისთვის) უნდა მოახდინონ: შემდეგი წესით:

ა) უნდა გასცეთ ავანსი ნახევარი თვის ჯამაგირის რაოდენობისა,

ბ) ამ ნახევარი თვის ჯამაგირს უნდა მიუმატოთ 50 პროც. (ამ ნახევარი თვის ჯამაგირისა) მარტის თვის სიძვირის გამო მიმატების ანგარიშში.

მაგალითი: I-ლი ნარიხსის თვიური სატარიფო განაკვეთი მეორე ზოლისა უდრის 8 საკ. მანეთს. მტკიცე პარიტეტით ჩერგ. ანგარიშზე გადასვლის დროს ეს განაკვეთი გამოიხატება 10 მ. 40 კაპ., მაშასადამე, მარტის ნახევარი თვის ჯამაგირი უდრის 5 მან. 20 კაპ.

ამ განაკვეთის (5 მ. 20 კ.) უნდა მიუმატოთ 50 პროც. ავანსი სიძვირის გამო მარტის თვის მომატების ანგარიშში, ე. ი. 2 მან. 60 კაპ. ამ რიგად მარტის პირველ ნახევრისთვის უნდა გაიცეს 5 მან. 20 კაპ. 2 მან. 60 კაპ.—7 მან. 80 კაპ.

მესამე ზოლისთვის ანგარიში ამგვარადვე იწარმოებს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ პარიტეტი ჩერგ. და საკ. მანეთებს შორის 1 : 1 იქნება.

3. მარტის მეორე ნახევრისთვის მუშაობისამსახურე აპრილის პირველ რიცხვებში იღებს სატარიფო განაკვეთის მეორე ნახევარს, ნაპრობით და ზეგმეტი მუშაობისთვის ჯილდოს პრემიების მიმატებით (თუ ასეთები ჰქონდა) აგრეთვე უწყებული ზოლის შტატიკა პარიტეტით ჩერგ. მანეთებში გამოანგარიშებით; ამას გარდა კიდევ პროცენტულ მომატებას სიძვირისთვის, რომელიც (მომატება) გამოქვეყნებული იქნება აპრილის შემდეგ; მხოლოდ ამ მომატებას უნდა გამოაკლდეს თვის პირველ ნახევრისთვის მიღებული მომატების ნაწილი. დაწვრილებით განმარტება და მაგალითი (მესამე მუხლისთვის) დამატებითი გაგზავნებათ.

4. სპეციალისტებს და იმ პირთ, რომელნიც პერსონალურ ჯამაგირს იღებდენ საქონლის მან. შრომის ხელფასი უნდა მიეცეს ჩერგ. გამოანგარიშებით 1 : 1, 3 პარიტეტის მიხედვით, ზოლის მიუხედავად და სიძვირისათვის მომატების მიუცემლად.

5. სპეციალისტების და იმ პირების შრომის ხელფასი, რომელნიც 1-ლ მარტისთვის პერსონალურ განაკვეთს იღებდენ ჩერგ. ანგარიშით, რჩება უცვლელად.

6. სპეციალისტების და იმ პირების განაკვეთების გადასინჯვა, რომელნიც სპეც ჯამაგირებს იღებენ შეიძლება მოხდეს ორივე მხარის სურვილით და ხელშეკრულობითი ურთიერთობის საფუძველზე, მასთან განაკვეთების გადასინჯვის დროს წარმოებადაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და ავარაუდოს თავისი ფონდები.

7. მომატება სიძვირის გამო არ ვრცელდება პასუხისმგებელ მუშაკებზე, ხელფასიანი მოამარაგებლებზე მუშა-მოსამსახურეებზე 'და ინჟინერებზე, ვინც შრომის ხელფასს იღებდა ჩერ. მანეთებში 1-ლ მარტამდის დადებულ კოლექტიურკოლობით და სატარიფო შეთანხმებით.

8. 1-ლ მარტიდან აღარ გატარდება რეგისტრაციაში ისეთი კოლექტიურკოლება ან სატარიფო შეთანხმება, რომელშიაც შრომის ხელფასი საკონ. მანეთებშია გამოსახული.

ყველა ზემოაღნიშნული უნდა მიიღოთ ცნობად და სისწორით შესასრულებლად.

იმის გამო, რომ შრომის ხელფასის ნორმები კოლექტიურკოლებებით მეტად მრავალ სახისა არიან და თქვენ, უეჭველია, ბევრ შეკითხვას მიიღებთ ამა თუ იმ მოქმენტის ახსნა-განმარტების შესახებ,—ამიტომ ყოველი ცნობის და განმარტების გაცემის დროს უნდა დაეყრდნოთ და იხელმძღვანელოთ ზხოლოდ და მხოლოდ ა—კ. ს. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებებით, ა—კ. შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით და ამ ცირკულიარით.

ყოველგვარი გაუგებრობის და აღნიშნული დადგენილების არა სისწორით შესრულების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ საკ. შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკა-საკონფლიქტო განყოფილებას.

საკ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარი
ა. მ ი ქ ა ძ ე.

საკ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი
მ. ჯ უ დ ე ლ ი

სატარიფო საკონფ. განყოფ. გამგე
რ უ ბ ა კ ი ნ ი.

სტ. საკონ. განყოფ. მდივანი
მ უ ს ა შ ი ბ ა კ ი ნ ი.

დადგენილება № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სახალხო ბანკის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თანხმობით ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო ბანკი გადაკეთებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასოფლო სამეურნეო ბანკად.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო ბანკის თანხებიდან გამოყოფილ იქნეს სამოცდა ექვსი ათასი (66.000) ჩერონეცი, რაც სულსთა არის გაცემული მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის და ეს თანხა ჩაირიცხოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს განყოფილების ფონდში.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკის დანარჩენი თანხები და მთელი ინვენტარი დარჩეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

4. დადგენილება ე. ე. ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ე ლ ი ა ვ ა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ს ა ლ ა რ ი ძ ე.

1924 წლ. მარტის 24
თბილისი—სასახლე.

კარტიული და საგზოოთა კალენდარი

კარტიული

დაცველთა კოლეგიის კოგფრაქციის თათბირი.

— ს. კ. პ. ც. კ—ი, დღეს ა. თ. 27-ს 2 საათზე იწვევს ცეკას შენობაში დაცველთა კოლეგიის კომფრაქციის წევრების თათბირს, სადაც უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

ატოფეი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე, აიგაზოვი ნიკოლოზ ეფელიანის-ძე, ადამიძე თამარა ივანეს ასული, ბეგიჩევ ანდრო გრიგოლის-ძე, გორგასლიძე თეოფანე ხოსიას-ძე, დევნოგორცევი დიმიტრი გიორგის-ძე, ვარდოიანი გიორგი თედორეს-ძე, ყურულოვი გიორგი, კაკაბაძე იოსებ პავლეს-ძე, მამფლია იოანა დიმიტრის-ძე, რუხაძე არჩილ გერონტეს-ძე, საყვარელიძე პავლე, სიხარულიძე ვიქტორი, ტრაპაიძე ზეციდა სამსონის-ძე, ჯანეკელაშვილი შალვა პლატონის-ძე, თაკოფეი სტეფანე ადამის-ძე, ყვანია ისაკი, ავალიანი არშ. ვ. სტურუა გიორგი, დარახველიძე ალექსანდრა.

ხ. კ. პ ც. კ—ის სპორგანიზაციო განყოფილება.

მობილიზაციის წესით გაგზავნულ ამხანაგების საყურადღებოდ.

— ხ. კ. პ. ც. კ. საკგიტ. საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ასხანაგებს, რომლებიც მობილიზაციის წესით გაწვეულნი არიან ლენინიზმის პროპაგანდის კურიერულის ჩასატარებლად მაზრებში, გამოცხადენ დღეს, მარტის 27-ს 12 საათზე საკგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში ინსტრუქციებისა და მანდატების მისაღებად: 1. ნინიკოვს (იაზვანება ბათომში); 2. ორაგველიძეს (ბათომი და ოხურეიური) 3. ტაკოეს (ცხინვალი); 4. ელისაბედაშვილს (ფოთი): 5. კ. ოკუჯავას (ჭორი); 6. რუხაძეს ლეტ (თელავი და სიღნაღი); 7. წულიკიძე პაოშენ (ონი და ცაგერი); 8. ვაშაძე ალ. (შორაპანის მაზ.).

ს. კ. პ. ც. კ. საკგიტ. საპროპაგან. განყ. გამგე ვ. ბ ა ხ ტ ა ძ ე.

განათლების მუშაკთა სახლი.

— ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, 27 მარტს საღ. 6 საათ. მუსიკისა და გალობის მასწავლებელთა წრეში მოხსენება.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, 27 მარტს საღ. 6 საათ. დაიწყება მეცადინეობა საბჭოთა აღმშენებლობის წრეში (ქართულ ენაზე).

ამავე დღეს საღამოს 6 საათ. მხატვრული კითხვის წრე კრუჩინის ხელმძღვანელობით.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს, 28 მარტს საღ. 7 ნახ. საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 7 საათ. არა რუსულ სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 6 ნახ. საათ. არა ქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 7 საათ. პოლიტეკონომიის წრე.

— **საქართველოს აბკომკავშირის თბილისის კომიტეტი** შაბათს, 29 მარტს, საღამოს 5 საათზე, 2 რაიონის კლუბის შენობაში იწვევს თბილისის ორგანიზაციის იაჩეკების პიუროების კონფერენციას. დღის წესრიგში დასმულია საკითხი:

„საქართველოს აბკომკავშირის მორიგი ასოცანები ცეკას პლენუმის და რუსეთის აბკომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუციის მიხედვით“.

იაჩეკების პიუროების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს აბკომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ლ ო მ ი ძ ე.

განცხადებები

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აცნობებს ყველა წევრებს კავშირის აქტიური მუშაკის, სენაკის სამაზრო კომიტეტის ყოფ წევრის, სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელის

ვერა კიზირიასს

მოულოდნელად გარდაცვლილას. 5. 975

ბ. ბ. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

ლეონიდ სოგინოვის

გასტროლები

პარასკევს, 28 მარტს ალდგომის პარტიის შეცარულებს
ტრავიატა ლ. სოგინოვი

კვირას, 30 მარტს
ლოენგრინი
ლოენგრინი—ლ. სოგინოვი
დადგმა—კ. მარჯანიშვილის

ყველა წარმოდგენებს დირიჟორობს ი. ფალიაშვილი.
№ 967 0—2

ბამოვიდა და იყიდება სამხატვრო-ალეტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი

„მნათობი“ № 1

შინაარსი:

1. დენნა შენგელაია—სანავარდო, (დიდი უმეური) რომანი.
2. ი. ხალვაში—*** ლექსი
3. ნერეტბრიანსკა—კომუნა. ლექსი. (თარგმანი)
4. ტარასოვ როდიონოვი—შოკოლადი (ფანტასტიური ამბავი)
5. ფ. ბაბარაძე—რუსეთის რევოლიუცია და ლენინი
6. ბალაბა ტარიელიძე—დიადი დიადთა შორის.
7. კ. ოსაგველიძე—ლენინი და ბრესტი.
8. ალ. ვარდან. ბაგელიძე—ბოლშევიკები და იაკობინელები.
9. კ. ოსაგველიძე—წერილები პოლიტიკურ ეკონომიიდან
10. ნ. გოგიბერიძე—ალბერტ აინშტაინის რელატივობის თეორია.
11. ვ. ბარნაბიშვილი—ქვანახშირის მარაგი საერთოდ და კერძოდ საქართველოში.
12. ს. ოსაგველიძე—ბაიახალგაზრდება.
13. ნ. კოკნაძე—„მუშათა პარტიის“ მოგონება ინგლისში.
14. ლარისა რეიხნერ—ჰამბალიების ჩრდილში (თარგმანი).
15. ი. გედევანიშვილი—პროლეტარულ ხელოვნების პრობლემა.
13. ნიბლიოგრაფია.

ჟურნალში ძირითად თანამშრომლად არიან საქართველოს მწერლები, მეცნიერები და მეცნიერები, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე რუსეთის და ევროპის ლიტერატურო და სამეცნიერო ძალები.

მეორე ნომრიდან ჟურნალი იქნება არანაკლებ 300 გვერდისა და ეღირება 1 მ. 50 კ.

წლიური ხელისმოწერითათვის 25 პროც. დაკლებით.

ხელის მოწერა და შეძენა შეიძლება ჟურნალის კანტორაში, პოლიტგანათლების მთავარმმართველობის წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პრ. № 22) და ყველა წიგნით სავაჭროებში.

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარმმართველობა წინადადებას აძლევს მასთან დაქვემდებარებულ წიგნთსაცავებს და დაწესებულებებს გამოიწერონ ჟურნ. „მნათობი“

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ., № 22.

ყოველგვარი წერილების და მასალების გამოგზავნა შეიძლება აქვე რედაქციის სახელზე.

რედაქცია ღია არის ყოველდღე 12-დან 2 საათამდე.

საქ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობა.

1—1 ნის. 976.

აღმასკომის საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაო სა